dieser Vorlesung nicht mehr fliehen können, dachte ich für mich. „Hör zu“, führte Onkel Arut fort. „Vor langer Zeit lebten zwei junge Freunde in Havlabar. Sie beide waren Gehilfen von Kaufleuten eines Bazars. Aus Havlabari mussten sie zur Arbeit einen langen Weg zurücklegen, so beschlossen sie, in den neuen Stadtteil Sololaki zu ziehen, auch weil dort die Mieten viel niedriger waren. Bald gründeten sie Familien, bauten kleine Häuser auf gegenüberliegenden Straßen. Sie konnte keinen Tag ohne einander leben, sie aßen zusammen, sie gingen zusammen zur Arbeit. Eines Tages verschwand einer von den beiden. Es verging einige Zeit, man hörte aber nichts von ihm. Eines Abends, als unser in Tiflis verbliebener und von der Arbeit ermüdeteter Freund nach Hause kam, sah er, dass das Haus von seinem Freund abgerissen wurde. Er wunderte sich. Bald darauf entstand an der Stelle ein 4-stöckiges Haus mit einem Brunnen im Innenhof und einem vergoldeten Eisentor. Bald kam auch der Freund selber mit einer Kutsche, in einem Smoking. Man sagte, er hätte in Russland großen Wohlstand angesammelt. So ist es“, sagte Arutika. „Er vergaß seinen alten Freund, der ihm gegenüber in einem kleinen Haus wohnte und begrüßte ihn nicht mehr richtig. Es verging einige Zeit, der reiche Freund ging ins Ausland, ich denke zu den Franzosen, deren



Sprache du lernst“. „Nein, ich lerne Englisch“, erwiderte ich stolz. „Das spielt keine Rolle, alles gleich. Wo bin ich stehengeblieben?“ unterbrach er mich. „Ja, der Freund ging ins Ausland, um noch mehr Geld zu verdienen. Du weißt ja, das Leben ist so ein Spiel, das mein Großvater auf dem Friedhof von Khojevani spielte: mal gewinnst du, mal verlierst du. Unser Freund kam eines Tages zurück – zu Fuß, keine Spur von der Kutsche. Er hatte wohl sein ganzes Geld bei den Franzosen angelegt und verloren. Als er vom Platz in seine Straße einbog, war er geschockt: gegenüber seinem Haus stand ein wunderschönes dreistöckiges Haus aus Ziegelstein mit schönen Verzierungen. Unter jedem Fenster hatte es die Köpfe von den Riesen, die in seine Richtung blickten und dabei die Zunge herausstreckten, als ob sie sagen wollten: Sieh her!“

Seitdem ist viel Zeit vergangen. Die Händler sind längst tot, auch Onkel Arutika und der Innenhof meiner Kindheit sind weg. In der Leselidze Strasse 10 steht aber bis heute das Haus mit den Riesen, die mit ausgestreckten Zungen auf die Jeeps der allerletzten Marke der Tifliser Händler, sorry, „Businessmänner“ zeigen.

Auf Wiedersehen, lieber Leser. Gott segne dich reichlich!

Temur Bardawelidze

პარტის თვის ლოზუნგი
იესო მიუბო: ესენი რომ დაღუპდებიან,
ქვები ღაიფყებენ ღალალს.

ლუკა 19, 40

ღმინდა წერილი მოგვითხრობს: როდესაც იესო თავის მოწაფეებთან ერთად ზეთისხილის მთიდან იერუსალიმისკენ გაემშურა, მას ადამიანების დიდი ჯგუფი დახვდა, რომლებიც შეეგებნენ სიტყვებით: “ოსანა დავითის ძეს! კურთხეულია მომავალი უფლის სახელით!” თავიანთი სამოსით გზას უსუფთავებდნენ და ყველა ჩადენილი სასწაულისთვის აღიდებდნენ. როდესაც სწავლულებმა და ფარისეველებმა მომხდარის შესახებ შეიტყვეს, შეშინდნენ და განრისხდნენ, რადგან ხალხი იესოს რწმენაში მიყვებოდა და მისი შევიწროება დაიწყეს, მის მოწაფეებს კი აუკრძალეს, ექოთ და ედიდებინათ ის, როგორც ჭეშმარიტი მეფე და მესია. ამაზე უფალმა მიუბო, რომ სასიხარულო გზავნილი უნდა ასრულებულიყო. და თუ ადამიანები დაღუმდებოდნენ, ქვები ილაღადებდნენ, გაცოცხლდებოდნენ და მას განადიდებდნენ, როგორც ღვთის ძეს, რომელიც ქვეყნიერებას მოევლინა.

კაცთა მოღვმის ხსნისას ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი დგება: ქრისტე ხალხს მოევლინება, ის საკუთარ თავს განაცხადებს. ღმერთისთვის საამოა, როცა ადამიანები მას შეიცნობენ და მისი მიმდევრები გახდებიან. მესიას დიდებით შესვლით მოწაფეები მას გაყვნენ, აქეს და მისი სახელი აღიდეს. იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზე მამა ღმერთი იესოს მოწაფეებს მოუწოდებს, ხმები აიმაღლონ, რათა დიდი ღმერთი აღიდონ, ღვთის სასუფეველის დადგომის სასიხარულო გზავნილი განაცხადონ, პალმის რტოები და ტანისამოსი დაუფინონ გზაზე. ასე მიესალმა ხალხი სიხარულითა და ყიჟინით მის მეფესა და მხსნელს. მიწიერი წმინდანების ხოტბა ზეცაში ანგელოზების ოდას შეერწყა. ისევე, როგორც ანგელოზებს ახარებს ამქვეყნად მშვიდობა, ისე გვახარებს ჩვენ მშვიდობა ზეცაში, რომელსაც მაღლთა შინა ჰქმნის ღმერთი.

დავითის ძის ქება, რომელიც უფლის სახელით მოდის და მისი მოწაფეების სიხარულმა ფარისეველები გულგრილი არ დატოვა. ისინი არა მხოლოდ განუდგნენ მის მიმდევრებს, არამედ აღშფოთდნენ და ჩათვალეს, რომ იესო განდიდების

და ხმამაღალი ყიჟინის ღირსი არ იყო. იესომ უკუაგდო საკუთარ უპირატესობაში დარწმუნებული ადამიანების ბოროტად გამოყენება და ჩაგრულების ქება მიიღო. იმისგან დამოუკიდებლად, ადამიანები ღმერთს აღიღებენ თუ არა, იესოს და მისი სასწაულების ხოტბის ხმა ცას წვდება. როდესაც კაცთა მოდგმა ღუმს და ღვთის და მისი სასუფეველის განდიდებას წყვეტს, ქვეები დაიწყებს დაღადს, ქრისტე ქების და ღიდების გარეშე რომ არ დარჩეს.

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ადამიანები ქრისტეს ბოროტად გამოყენებას შეეცადნენ და ჯვარზე აცვეს მისი გაღმერთების ნაცვლად. როდესაც მოწაფეები დაღუპდნენ, ზეცა და მიწა იძრა, დასკდნენ კლდენი და ყველა მხრით გაიხსნენ (მათე 27, 51). სახარების მოწინააღმდეგეებს უნდოდათ, ხელი შეეშალათ ქრისტეს ხოტბისთვის, თუმცა მათი ძალისხმევა ამო აღმოჩნდა, რადგან ისევე, როგორც ღმერთს შეუძლია აბრაამს აღუდგინოს ამ ქვეებიდან შვილები (მათე 3, 9) ასევე შეუძლია მას პატარა ბავშვების და ჩვილების პირიდან ხოტბა აღმოახდინოს (ფსალმუნი 8, 3). მაცხოვარი, რომელსაც მუნჯების აღაპარაკება და ბრმებისთვის თვალისჩინის დაბრუნება შეუძლია, ქვეებსაც დააწყებინებს დაღადს. ქვეებს ხომ ბევრის მოყოლა შეუძლიათ თავიანთი შემოქმედის შესახებ, რომელმაც ისინი სიტყვის ძალით შექმნა. ისინი მის ღიდებას ადასტურებენ, ვინც მათ სიცოცხლე შთაბერა.

რატომაც არ უნდა განვაცხადოთ სასიხარული გზაწინილი მის შესახებ, ვინც ჩვენ და აბრაამის შვილებს გვაჩუქა ხელახალი სიცოცხლე, თანაც მეტობით?! რატომ არ შეგვიძლია ღვთის ღიად საქმეებზე საუბარი, იმაზე, რაც მან ამ მიმე დროში გააკეთა ჩვენი ეკლესიისთვის? ქვეებს მათი მშენებლისთვის ხოტბის შესხმა შეუძლია, რომელმაც ისინი მიწის მტვრიდან ამოიღო, გამოთალა და ტაძრის კედლებად აქცია. განა არ შეგვიძლია, მოვყვეთ ჩვენს ღიდებულ შემოქმედზე, რომელმაც ჩვენს ქვის გულებში თავისი მხსნელი სიტყვა ჩაწერა, რათა ჩვენ მის ტაძრად ვექციეთ? მღალადებელ ქვეებს მათი შემქმნელის განდიდება შეუძლია, ვინც გამოთალა და თავისი გეგმის მიხედვით დაამუშავა. ასე რომ, მოდი, ვილაპარაკოთ ჩვენს აღმშენებელზე, რომელმაც თითოეულ ჩვენგანს ცოცხალი ღმერთის ტაძარში საკუთარი გეგმა დაგვისახა.

პასტორი ვიქტორ მიროშნიჩენკო

წითელი პარასკევი შერიგების ეკლესიაში

2021 წლის 2 აპრილს, წითელ პარასკევს შერიგების ეკლესიაში გაიმართა ღვთისმსახურება, რომელიც განსაკუთრებულ სახელს ატარებდა: *ICON*. გასულ წლებში წითელ პარასკევს ჯვარცმის გზა გავიარეთ სტენდიდან სტენდამდე, რომლებზეც „ჯვარზე იესოს შვიდი სიტყვა“ ეწერა. ამ სიტყვების ირგვლივ პასტორებმა და თბილისისა და რუსთავის სამრევლოების წევრებმა თავიანთი ნაფიქრალი წარმოადგინეს. წელს ამ სტენდებზე შვიდი ხატი იყო განთავსებული, რომლებსაც გამორჩეული ადგილი უჭირავს მართლმადიდებელ ეკლესიაში და რომლებიც იესოს ვნების კვირის მოვლენებს გადმოსცემს. რადგან პანდემიით განპირობებული სოციალური დისტანციის დაცვის მოთხოვნის შესრულება სტენდებთან ერთობლივი მსვლელობისას შეუძლებელი იქნებოდა, გადაწყდა, ღვთისმსახურების ყველა მონაწილე ეკლესიის დარბაზში წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე დარჩენილიყო და ხატები შერიგების ეკლესიაში დიდ ეკრანზე ეჩვენებინათ.

ICON ჯვარცმის გზის ლიტურგია ბიბლიურ და სხვა ტექსტებს აერთიანებდა, მათ შორის ცალკეული ხატების აღწერას განმარტებებითა და ლოცვებით. გერმანულ ენაში სიტყვა „ხატი“ ბერძნული «*εἰκὼν*» (ეიკონ)-იდან იღებს სათავეს და „გამოსახულებას“ ნიშნავს. ლუთერულ ეკლესიაში ხატებს არ ეთაყვანებიან, თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გზავნილი, რომელსაც ხატზე გამოსახული ადამიანი და ისტორია ატარებს თავის თავში. ჩვენთვის არსებითია ის გამოსახულებები და სიმბოლოები, რომელთა საშუალებით ხატები თავიანთ გზავნილს გადმოსცემენ. იესოს ჯვარცმის გზის ხატებს ბრწყინვალე ოქროს საძირკველი აქვს, რომელიც სიმბოლურად ღვთის ნათელს, სიცოცხლის შუქს და ტანჯვიდან და სიკვდილიდან აღდგომას განასახიერებს. ღმერთი ყველაფერშია.

რადგან ლიტურგია ახალგაზრდების ეკუმენური ჯვარცმის გზისთვის იყო მომზადებული, ის ინგლისური სიტყვის *ICON* (სიმბოლო) ორმაგ მნიშვნელობას ეთამაშება. *Icons*, პატარა სიმბოლოები, ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა და გრაფიკული გამოსახულებების სახით ჩვენი მობილური ტელეფონების და კომპიუტერის ეკრანებზე და სხვადასხვა

აბრეშუე გამოიყენება. ამ სიმბოლოების ენა განსაკუთრებით კარგად ესმით ახალგაზრდებს. ისინი ინფორმაციებს შეიცავენ, გზას გვიჩვენებენ ან მოქმედებებს გვისხნიან. ამით ჰგვაგან ხატებს: მთავარია გზაენილი, რომლებსაც ისინი ატარებენ და რომელსაც ჩვენ მათი ყურებისას აღვიქვამთ. ჯვარცმის გზის თითოეულ ხატს ორი პატარა სიმბოლო-გამოსახულება ახლდა, რომელთაგან ერთზე ხატის სრული ვერსია იყო, მეორე კი მის მნიშვნელობას ჩვენს რეალობასთან აკავშირებდა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ იესოს გზას ჯვრისკენ პირდაპირი დატვირთვა აქვს ჩვენთვის და ჩვენი სიცოცხლისთვის. მის მსგავსად ჩვენც ვეჯახებით მარტოობას, უსამართლობას, დაღატკს, ტკივილს, ტანჯვას და სიკვდილს. ამის შესახებ მოგვითხრობდა ისტორიები ყოველდღიური ცხოვრებიდან, რომლებიც თითოეულ ხატს ერთვოდა. როგორ ვახერხებთ ყველაფრის მიუხედავად, საკუთარ თავში შევიინახოთ ღვთის ხატი და მუდამ ვგრძნობდეთ ღვთის სიახლოვეს და მის სიყვარულს? უფალმა ჩვენმა იესომ ჩვენთვის გაიარა ჯვარცმის გზა ტანჯვის და სიკვდილის გავლით მკვდრეთით აღდგომამდე, მას მივყავართ წყვილიადიდან სინათლეში, სასოწარკვეთიდან იმედში, სიძულვილიდან სიყვარულში, ეჭვებიდან რწმენაში, სიკვდილიდან სიცოცხლეში. ის ჩვენ არასოდეს გვტოვებს, ჩვენ კი ლოცვებში მუდამ მას მივმართავთ.





ჯვარცმის გზის ლიტურგიის ღრმა და დამაფიქრებელი ტექსტები ეპისკოპოს მარკუს შოხის ინიციატივით არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს, არამედ თბილისის, რუსთავის, ბოლნისისა და გარდაბნის სამრევლოების ჯგუფებს დაურიგდა. სამრევლოები ასე ხალხმრავლად პანდემიის დაწყების დღიდან აღარ ყოფილან წარმოდგენილი. ღვთისმსახურებაში მონაწილეობდნენ ეპისკოპოსი და პასტორები, სამრევლოს საეკლესიო საბჭოების თავმჯდომარეები და მრევლის წევრები, დიაკონის და შინ მოვლის სამსახურის თანამშრომლები, საკვირაო სკოლის პედაგოგები, გუნდი „გლორია“, მამაკაცების და ქალთა კლუბები, ახალგაზრდული ჯგუფები და სკაუტები. როდესაც ეკრანზე ხატის გამოსახულება ჩნდებოდა, შესაბამისი ჯგუფი გვერდზე დგებოდა და ტექსტებს კითხულობდა რუსულ ან ქართულ ენებზე. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მუსიკა, რომელიც ტექსტებს შორის ისმოდა. ის, ერთი მხრივ, ქრისტეს ჯვარცმის ტრაგიკულ გარემოებებს გვაზიარებდა, მეორე მხრივ კი უსასრულო სიყვარულის და ღვთაებრივი ბრწყინვალეობის შეგრძნებას გადმოსცემდა, რომელმაც მთელი სამყარო მოიცვა. წითელი პარასკევის გარეშე არ არსებობს ქრისტეს აღდგომა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის სიხარულის გაზიარებისთვის საჭიროა ქრისტესთან ერთად ჯვარცმის გზის გავლა.

პასტორი ირინა სოლეი

აღდგომას ვზეივობთ

აღდგომა რუსთავის მუზიკობის კლასიაში

წლის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მოვლენა, რომელსაც ჩვენი სამრევლო ყოველთვის მოუთმენლად ელოდება, არის აღდგომა! ქრისტეს აღდგომა არა მხოლოდ დღესასწაულია, არამედ ის ჰქმნის ქრისტიანული სარწმუნოების ფუნდამენტს და დიდი სასწაულია, რომელიც ქრისტეს მიმდევრებს ცოდვების შენდობის და მარადიული სიცოცხლის დამკვიდრების რწმენას აძლევს. აღდგომა ხსნის იმედია. ადამიანებმა ეს ხსნა საჩუქრად მიიღეს იესო ქრისტეს მაცხოვრებელი მსხვერპლის რწმენით.

უკვე მეორედ მოგვიწია აღდგომის აღნიშვნა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში. წელს მრევლის წევრები განსაკუთრებული იმედით მოვიდნენ ღვთისმსახურებაზე ქრისტიანებისთვის ამ გამორჩეული მოვლენის განსაცდელად და აღსაქმელად. ყველა იმ მოვლენის შემდეგ, რომელიც ამ წელმა მოგვიმზადა, განსაკუთრებული გრძნობა გვეუფლება ღვთის სახლში – ჩვენი მშვიდობის ეკლესიაში მოსვლისას. შეზღუდვების შემსუბუქების შემდეგ კვლავ გვინდა ერთად ყოფნა, ერთმანეთთან საუბარი, გამოცდილების და განცდილის ერთმანეთისთვის გაზიარება და ერთად ღმერთზე მიხედობა.





4 აპრილს სამრევლომ ერთად აღვნიშნეთ აღდგომის დღესასწაული. აღექსანდრე შუბინის ფლეიტის ჯგუფის მოსწავლეებმა კლასიკური მელოდიების შესრულებით მრევლის წევრების განწყობაზე იზრუნეს. ხელგარჯილობის პედაგოგის ხელი ვისტუნის მიერ გაფორმებულმა ეკლესიის დარბაზმა საკვირაო სკოლის ბავშვების შემოქმედება და სურათები წარმოგვიდგინა. მუსიკის მასწავლებელმა ანა აბშილავაძემ და ბიბლიის პედაგოგმა სუზანა ვარტიროსიანიმ ბავშვებთან ერთად არაჩვეულებრივი სააღდგომო სპექტაკლი მოამზადეს. შემდეგ ინტერესით მოვუსმინეთ პასტორ ირინა სოლეის ქადაგებას, რომელმაც კარგად ნაცნობი ბიბლიის ისტორია ახლებურად დაგვანახა. წელსაც გვესტუმრა რელიგიის საკითხების სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი აბაი ფაშაევი და აღდგომა მოგვილოცა.

შემომწირველების და გერმანიის საელჩოს წყალობით ჩვენი ბავშვები და მრევლის წევრები ხალისიანად შეხვდნენ აღდგომის დღესასწაულს. ყველა სამრევლოს სახელით მინდა მადლობა ვუთხრა ეპისკოპოს მარკუს შოსსაც განსაკუთრებული ყურადღებისთვის, სიყვარულისა და მზრუნველობისთვის. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

გაიანე მელქონიანი
რუსთავის მშვიდობის ეკლესიის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე

აღღრამა ბოლნისში

წლიდან წლამდე დიდი მონდომებით ველოდებით და ვზეიმობთ აღღრამის დღესასწაულს. უფლის ჯვარცმა და მკვდრებით აღღრამა უდიდესი სასწაულია და ადამიანების ცოდვისგან დახსნას უკავშირდება. აღღრამა საყოველთაო განახლების, სიცოცხლის დღესასწაულია და უდიდესი სიხარულია ყველა ქრისტიანისთვის. ყოველ ჯერზე მას მოაქვს გაზაფხული - პერიოდი აღორძინებისა და განახლებისა! როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება ამ საუფლო დღესასწაულის გარეშე?

მიუხედავად ამ მძიმე პანდემიის დროისა, თითოეული ჩვენგანი ჩვენს პატარა სამრევლოებსა და საკუთარი სახლის ჭერქვეშ დიდი რუდუნებითა და სიხარულით ვემზადებით ამ ბრწყინვალე დღესასწაულისათვის. ჩვენს გარემოს ამშვენებს ნაქარგი ხელსახოცები, ხისგან და კვერცხებისგან დამზადებული სხვადასხვა დეკორატიული ელემენტები, ყვავილების თაიგულები. აღღრამის ნათელი დღესასწაული აღორძინების სიმბოლოა, სწორედ ამ დროს ყვავის ბუნებაში ტრადიციული სააღღრამო ყვავილები: სუმბული, ნარცისი, ია, ენძელა, ტიტა... წელიწადის ამ ულამაზეს დროს გვესმის სუსხიანი ზამთრის მერე დაბრუნებული გაზაფხულის პირველი ჩიტების ჟივილ-ხივილი, ნიშანი ნამდვილი გაზაფხულის დადგომისა, ისინი თავისი ჭიკჭიკით გამოხატავენ თავიანთ სიხარულს, წნავენ ბუდეებს და ირჩევენ თავიანთ მეწყვილეს. ბოლნისის საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა მუსიკის პედაგოგთან ლეილა მერაბიშვილთან ერთად აღღრამის დღესასწაულს და გაზაფხულს მიუძღვნეს ცნობილი გერმანული საბავშვო ხალხური სიმღერა „ჩიტების ქორწილი“ (Die Vogelhochzeit). ბავშვებმა ღამაზად მოირგეს და გააცოცხლეს სხვადასხვა ფრინველის როლები, საღღრამო-საქორწინო კოსტიუმებმა, ნიღბებმა და განსახიერებელი ფრინველების ქცევამ საოცარი შთაბეჭდილება დატოვა მრევლსა და დამსწრე საზოგადოებაზე. სააღღრამო მსახურების შემდეგ მრევლმა ჩაისთან და ტკბილეულთან ერთად გავაგრძელეთ საუბარი.

მთავარი აზრი აღღრამის დღესასწაულისა არის განწმენდა და განახლება. მათთან ერთად იღვიძებს რწმენა, რწმენას მოსდევს სიყვარული, სიყვარული კი მსოფლიოს გადაარჩენს.

ნაზი ლონდარიძე,
ბოლნისის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე

ბილოცავთ აღზომის ბრწყინვალე ღონისძიება!

2021 წლის აპრილში მივიღეთ დახმარება 300 ლარი ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ხელმძღვანელობისგან, რომელმაც მიიღო გერმანული საელჩოსგან დაფინანსება. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიის საელჩოს, ეპისკოპოს შოსს და ეკლესიის ხელმძღვანელობას. ამ თანხით შევიძინეთ საკანცელარიო ნივთები ბავშვებისთვის, რომლებიც ჩვენი საკვირაო სკოლის მოსწავლეები არიან. საკვირაო სკოლაში გამოვაცხადეთ დაეწერათ, რომელ ბავშვს რა უნდოდა სააღდგომოთ. შეძლების დაგვარად დავაკმაყოფილეთ ბავშვების სურვილები და 4 აპრილს გავუხარეთ გული. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბორჯომის საკვირაო სკოლის პედაგოგებს, რომლებიც მუშაობენ ღირსეულად. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საჯაროდ მუსიკის მასწავლებელს, რომელიც უანგაროდ მუშაობს და ჩემი მრევლის ახალგაზრდებს რეგინა, ლუკა და ტასო ღონდაძეებს, მარი და მაია მესრიშვილებს, ნინი კაპანაძეს, მაიკო ბასილაშვილს, ომარ და ლევან თაბუკაშვილებს, გიორგი ლურსმანაშვილს, რომლებიც ყოველთვის გვეხმარებიან და გვერდში დგანან სამრევლოს დასახმარებლად





3 აპრილს დამე ბორჯომში შევხვდით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და 4 აპრილს სოფელ ჭობისხევში 13 საათზე საკვირაო სკოლის მოსწავლეებთან და მრევლის წევრებთან ერთად ავლნიშნეთ სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დღე. ქრისტე აღსდგა! ჭემმარიად აღსდგა!

“წადით და ასწავლეთ ყველას მთელ დედამიწის ზურგზე, მე კი თქვენთანა ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე.”

ბორჯომის მრევლის თავმჯდომარე ნანა კაპანაძე

**“ნეტარ არიან მოწყალენი,
ზინაიდან ოსინი უმოწყალებულნი იქნებიან”**

მათეს სახარება 5:7



მე ვარ ტასო ღონდაძე, ბორჯომის ახალგაზრდული მრევლის წევრი. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე არის მარკეტი, სადაც ულუკმაპუროდ დარჩენილ ადამიანებს შეუძლიათ უფასოდ აიღონ პური. ჩვენ ვიყიდეთ პური და შევუერთდით ამ აქციას და გადავწყვიტეთ, კვირაში ერთხელ მივიღოთ მონაწილეობა უმწვეოთა დასახმარებლად.

ტასო ღონდაძე

ერთად ვზეივობთ! **ბავშვებთან მუშაობა თბილისში**

ბავშვები, პედაგოგები და მშობლები ძალიან გაახარა წელს დღის დასასრულის აღნიშვნამ. ესენი იყო: მსოფლიო ლოცვის დღე და აღდგომა. მადლობა ღმერთს, პანდემიამ ამ თვალსაზრისით სირთულეები არ შეგვიქმნა.

დიდი ხნის ონლაინ-მეცადინეობის შემდეგ 7 მარტს, ბოლოსდაბოლოს, მოგვეცა მშობლიურ საკლასო ოთახში შეკრების და მსოფლიო ლოცვის დღის ბავშვებთან ერთად აღნიშვნის შესაძლებლობა. საკვირაო სკოლის პედაგოგებმა საგანგებოდ სადღესასწაულო პროგრამა მოამზადეს. ბავშვები დიდი ინტერესით ისმენდნენ მონათხრობს შორეული ქვეყნის, ვანუატუს მაცხოვრებლების ყოფაზე, ასევე ისტორიებს ბიბლიიდან, მღეროდნენ, იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელი ყვავილები დაამზადეს და ერთმანეთთან დიდი ხნის ნანატრი შეხვედრით გაიხარეს.

ამ დღის შემდეგ პატარების ჯგუფი კვლავ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. უფროსების ჯგუფის შემთხვევაში გადაწყდა, მეცადინეობა კვლავ ზუმის ფორმატით გაეგრძელებინათ, რათა თავიდან აეცილებინათ დიდი ჯგუფის ერთად თავმოყრის საფრთხე.

აღდგომა ახლოვდებოდა. რა თქმა უნდა, გვინდოდა, ეს დღე განსაკუთრებულად და ერთად გაგვეტარებინა. ჩვენს სამრევლოებში საკვირაო სკოლების დაარსების დღიდან პედაგოგები ბავშვებს უყვებიან გერმანული ტრადიციების და წეს-ჩვეულებების შესახებ, მათთან ერთად პატარა ხელოვნების ნაწარმოებებს ჰქმნიან, კოსტუმებს ამზადებენ და ზეიმებისთვის სპექტაკლებს დგამენ. ამ ტრადიციის თანახმად წელსაც თბილისში სააღდგომოდ განსაკუთრებული პროგრამა მოვაგზადეთ, ამჯერად საბავშვო ღვთისმსახურების სახით.

4 აპრილს, ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ეკლესიაში შევიკრიბეთ. პასტორმა ვიქტორ მიროშნიჩენკომ მისალმების შემდეგ დღესასწაული მოგვილოცა. შესავალი ლოცვის შემდეგ ბავშვებმა საბა დამენიას აკომპანიმენტით გალინა კუზნეცოვას მიერ ნასწავლი გერმანული სიმღერა “დიახ, ღმერთს ყველა ბავშვი უყვარს” რუსულ ენაზე შეასრულეს. შემდეგ უფროსების ჯგუფის ბავშვებმა ბიბლიის ტექსტი წაიკითხეს, ელენა ილინეცმა კი ბიბლიური ისტორია

თამაშის ფორმით გადმოსცა. ასევე წარმოითქვა გერმანული ლექსი. ალექსანდრე ფელდმაიერმა, როგორც გერმანულის მასწავლებელმა თამაში შემოგუთავაზა, რომლის დროსაც ბავშვებმა ცალკეული ასოებისგან სააღდგომო მილოცვის ტექსტი ააწყვეს. გალინა კუზნეცოვამ აღდგომის აღნიშვნის გერმანულ ტრადიციაზე გვიამბო. გაისმა სამადლობელი და შეთხოვნის ლოცვები, რომლებიც უფროსების ჯგუფის ბავშვებმა სრულიად დამოუკიდებლად მოამზადეს. ერთად წარმოეთქვიტ “მამაო ჩვენო” და პასტორ ვიქტორის დალოცვა მივიღეთ. ბოლოს ბავშვებს კვერცხების მხიარული ძებნა ელოდათ ეკლესიის ბაღში, რომელიც ჩვენმა ახალგაზრდებმა მოამზადეს.

დროულად მივიღეთ დახმარება იმ პროექტიდან, რომელიც ეკლასიაში საკვირაო სკოლის დღესასწაულების მხარდაჭერას ითვალისწინებს. ამან მოგვცა შესაძლებლობა, არა მხოლოდ მასალები შეგვეძინა ნაკეთებობების დასამზადებლად, არამედ გაგვეშალა არაჩვეულებრივი სუფრა, რომელსაც ბავშვების, მათი მშობლების და პედაგოგების ვიწრო წრეში ერთად შემოგუსხედით და ერთად გავატარეთ დრო. დიდი მადლობა გერმანიის საელჩოს პროექტის დაფინანსებისთვის. გვინდა მადლობა ვუთხრათ ჩვენს ეპისკოპოსს მარკუს მოხს ჩვენი იდეების მხარდაჭერისთვის, ასევე მშობლებს აიდა და ინგა




კაუდეურებს მათი ძალისხმევითვის და მაგიდის ღამაზად გაფორმებისთვის.

ბოლოს მიიღო ვისურვო, როდესაც სამყარო პანდემიის მესამე ტალღის წინაშე დგას, გვექონოდეს ერთმანეთის გატანა, გაძღება და სიყვარული. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ელენა ილინკო

სკოლს საკვირაო სკოლის ბავშვებო და მუშაკებო!



თბილისის საკვირაო სკოლაში მრავალი წელია, გერმანული ენის გაკვეთილები ტარდება. გერმანული მარტინ ლუთერის მშობლიური ენა გახლდათ. გარდა ამისა, ის არის ისეთი ცნობილი ადამიანების ენა, როგორებიც არიან: გოეთე, შილერი, ბახი და მრავალი სხვა, ვინც უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის განვითარების საქმეში. გერმანიას წამყვანი ადგილი უჭირავს არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. გერმანიის გარდა გერმანულ ენაზე საუბრობენ ავსტრიაში, შვეიცარიის ნაწილში, ლუქსემბურგში და რამდენიმე სხვა ქვეყანაში.

პანდემიის გამო გერმანული ენის სწავლება ამჟამად ონლაინ მიმდინარეობს. გერმანული ღამაზი, მდიდარი და მელოდიური ენაა, რომლის გამოყენებაც საკვირაო სკოლის პროგრამის ფარგლებში ნაყოფიერად შეიძლება. ღვთისმსახურებაზე გერმანულ ენაზე იკითხება ბიბლიის ტექსტები. გერმანულად ვსაუბრობთ გერმანულ სტუმრებთანაც, რომლებიც ჩვენს ეკლესიაში მოდიან. გერმანული ენის შესწავლისას გერმანიის ისტორიას და კულტურასაც ვეცნობით.

შემოგვიერთდით ჩვენს საკვირაო სკოლაში, გელოდებით!

აღექსანდრე ფელდმაიერი
თბილისის საკვირაო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი

ჩვენი მუე-ბავშვები

რა საინტერესოა ბავშვებთან მუშაობა! ისინი ჩვენ, უფროსებს, ბავშვობაში დაბრუნების, განვლილი ცხოვრების ხელახლა განცდის და მისი უკეთ გამეორების შესაძლებლობას გვაძლევენ. სწორედ მათი წყალობით ვიგებთ სიცოცხლის არსს. ერთმანეთთან ურთიერთობით ბევრს ვსწავლობთ. ამასთან რთული სათქმელია, ამ პროცესისგან ვინ მეტ სიამოვნებას იღებს.

ჩვენს საკვირაო სკოლაში ბევრი ბავშვია, ერთმანეთისგან განსხვავებული როგორც ასაკობრივად, ისე ხასიათით, სწორედ ამის გამოა მათთან მუშაობა ასეთი საინტერესო. მსოფლიო ლოცვის დღისთვის (მლდ) მოსამზადებლად, რომელიც ვანუატუს ეძღვნებოდა, გააჩნია კუზნეცოვამ საჭირო მასალები გადმოგვცა და ახალგაზრდებთან ერთად განვიხილეთ, როგორ ჯობდა ღვთისმსახურების ჩატარება, დავალებები დავინაწილეთ და მუშაობას შევუდექით: ზოგიერთმა ქაღალდის დასაფენი დაამზადა, ზოგიერთმა ჩიტები მოხატა და გამოჭრა, სხვებმა ვულკანები და კუნძულები დახატეს. შემდეგ ყველამ ერთად ვანუატუს მკვიდრთა სიმღერები და ცეკვები ვისწავლეთ.

ბოლოსდაბოლოს ნანატრი მსოფლიო ლოცვის დღეც დადგა. მომენტის მნიშვნელობის გაცნობიერებით ბავშვები გასაოცრად წყნარად მოვიდნენ. საკურთხეველი ფერადად იყო მორთული, იატაკზე ნელი ვისტუნმა საკუთარი ხელით დაამზადა კომპოზიცია ცისფერ ქსოვილზე, რომელიც ვანუატუს ბუნებას, ფაუნას, მოსახლეობას და ხალხურ რეწვას გადმოსცემდა. კედელს ამშვენებდა ჯულიეტე პიტას ნახატი საშიში ციკლონის განსახიერებით, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სამრევლოს თავმჯდომარემ გაიანე მეღქონიანმა გახსნა ღვთისმსახურება. მან ბავშვებს მსოფლიო ლოცვის დღის შესახებ უამბო, რომელიც 100 წელიწადზე მეტია ყოველ წელს, მარტის პირველ პარასკევს აღინიშნება და რომელშიც მთელი მსოფლიოს 170-ზე მეტი ქვეყნის ქრისტიანი ქალი იღებს მონაწილეობას.

შემდეგ ფოტოების და ვიდეოების ჯერი დადგა. მიხლოდა, ბავშვებისთვის რაც შეიძლება მეტ ფერში მომეთხრო ვანუატუს – ამ განსხვავებული კუნძულ-სახელმწიფოს შესახებ, რომელიც მრავალ ტომს აერთიანებს; მათ ტრადიციებზე,

არაჩვეულებრივ ბუნებაზე, რომელიც ტურისტებს იზიდავს, ადგილობრივებს კი სისტემატურად განსაცდელის წინაშე აყენებს: მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, ტორნადო, ავადმყოფობები. ამ ყველაფრის მიუხედავად, ადამიანები იქ თავს ბედნიერად გრძნობენ: ყოველ ახალ დღეს აფასებენ და ღმერთს მადლობას ეუბნებიან. ჩვენ მას ვერ ვხედავთ, თუმცა მის ჩვენდამი სიყვარულს ვგრძნობთ, მის მზრუნველობას, მის ძალას. ვხედავთ, როგორ იჩენს ღვთის ნება თავს სხვადასხვა მოვლენებში, როგორ გვიცავს ღმერთი საფრთხეებისა და ბოროტებისგან და ზოგჯერ უბედურების თავიდან აცილებაში გვეხმარება.

სუსანა ვარტიროსიანიმა, რომელიც ბავშვებს ბიბლიის სწავლებას უტარებს, არა მხოლოდ იგავი მოუყვება ქვიშისგან და ქვისგან აშენებულ სახლებზე, არამედ ბავშვებს სთხოვს, მოსმენილი განეხილათ და ეცადათ, სახლის მშენებლის ადგილას საკუთარი თავი წარმოედგინათ. საუბრის ბოლოს ბავშვები მივიდნენ დასკვნამდე, რომ თითოეული საკუთარი ცხოვრების მშენებელია, ცხოვრების, რომელიც საქმეებით, სიტყვებით, ფიქრებით და მოქმედებებით შენდება. ჩვენზეა დამოკიდებული, რისი საძირკველი ექნება ჩვენს „სახლს“.



ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო, თუმცა გაჩნდა მეტი მოძრაობის სურვილი და ამიტომ ეკლესიის ეზოში გადავინაცვლეთ და ვანუატური ცეკვები შევასრულეთ. ისე ვიმხიარულეთ, რომ ჩვენი ხმები ოკეანის კუნძულებამდე ისმოდა ალბათ! შესანიშნავი იყო ნელი ვისტუნის ხელმძღვანელობით ქვიშის ნახატების დამზადება. ამასობაში მშობლებს სუფრა ჰქონდათ გაშლილი. ტკბილეულობის გარეშე რომელიმე დღესასწაული ჩაივლის? ბოლოს ბავშვები შეეკრიბე, რომ ბაფთებისგან და ბორბლისგან სიმბოლური მზე გაეკეთებინათ (იდეა გალინა კუზნეცოვამ გამიზიარა). თითოეულმა ბავშვმა წრეს ღია ფერის ბაფთა შეაბა, ხელში აიღო და დმერთს ვანუატუელი ბავშვებისთვის წარმოთქმული ლოცვით მიმართა. ძალიან ამაჩუყებელი იყო იმის ყურება, როგორი სიკეთით სავსე სიტყვებს იყენებდნენ, ბავშვებს, თუმცა გულიდან ამოსულს. მერე წრეში დავდექით, ვიცეკვეთ და ვიმღერეთ: “მადლობდეთ უფალს, რამეთუ სათნოა ის.” მთელი გულით მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ამ გამორჩეული ღვთისმსახურების მომზადებაში დაგვეხმარა!

ბავშვებმა ბაფთებით მზე გააკეთეს,

ადამიანებს ერთმანეთთან მისვლა გაუადვილეს.

მიდით, ბავშვებო, ნუ შეშინდებით,

ფერხულით შემოვხვებით ჩვენს პლანეტას!

ქალთა ლოცვის დღე თბილისში ერთად აღვნიშნათ

უდაოა, რომ ბავშვებს ზეიმები უყვართ, თუმცა ისინი უარანაკლებ უყვართ უფროსებსაც. ყოველწლიური მსოფლიო ლოცვის დღეები მარტო ღვთისმსახურება როდია: ის ნამდვილი დღესასწაულია, რომლისთვისაც დიდი ხნით ადრე ვიწყებთ მზადებას: ერთობლივი ლოცვის ტექსტს ვსწავლობთ, ქვეყანას და მის მობინადრეებს ვეცნობით, სიმღერებს და ცეკვებს ვეუფლებით, ხალხურ სამოსს ვკერავთ და ტრადიციულ კერძებს ვამზადებთ. წელსაც სამრევლოებმა გადაწყვიტეს, მლდ-ს ღვთისმსახურება თავიანთ ეკლესიებში ჩაეტარებინათ. თუმცა მსოფლიო ლოცვის დღის ჩატარებაზე პასუხისმგებელი გალინა კუზნეცოვას ინიციატივით გადაწყდა, თბილისის შერიგების ეკლესიის და რუსთავის მშვიდობის ეკლესიის სამრევლო გაერთიანებულყო. არაჩვეულებრივი ღონისძიება გამოვიდა! დავალებები და სიმღერების ტექსტები



დაგვირიგეს ქალთა წრეში ვიკრიბებოდით, ონლაინ სემინარებში ვმონაწილეობდით და შეხვედრისთვის ვემზადებოდით.

რეალობამ ყველა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. ეკლესიის შენობაში ტრადიციული ღვთისმსახურების ნაცვლად ჩვენს „კაპიტანთან“ გალინასთან ერთად შერიგების ეკლესიის ეზოში სუფთა ჰაერზე გავემგზავრეთ ვანუატუს კუნძულებისკენ, დავტკბით შესანიშნავი ბუნებით, მარჯნის რიფებს და ვულკანებს გვერდი ჩავუარეთ, ტორნადოს, ცუნამის და ავადმყოფობებს გადავურჩით და კუნძულებზე გავეჩრდით, ვანუატუელი ქალების ისტორიები მოვისმინეთ და ერთად ვიმღერეთ. შესანიშნავი იყო! ამგვარად, კორონავირუსის მიერ შექმნილ ვითარებაში ორი სამრევლოს ქალებმა ერთმანეთთან შეხვედრა და ერთმანეთისთვის გაზიარება შეძლეს და ერთობა შეიგრძნეს. არ უნდა დაგვაფიწყდეს კიდევ ერთი მონაწილე: კატა სახელად მაქსი. მიუხედავად იმისა, რომ მას ხმა არ ამოუღია, თავისი არსებობით დაგვაფიქრა ოკეანის კუნძულების რთულ ეკოლოგიურ ვითარებაზე. შეხვედრა ეკლესიაში ლოცვით და ჩაის სმით დასრულდა. მომავალ წელსაც გავერთიანდეთ და მსოფლიო ლოცვის დღე ერთად აღვნიშნოთ? არაჩვეულებრივი იქნებოდა!

ანა აბშილავა
რუსთავის მშვიდობის ეკლესიის საკვირაო სკოლის მასწავლებელი



კონფირმაცია რუსთავში

რუსთავის მშვიდობის ეკლესიის ღვთისმსახურებაზე 2021 წლის 6 ივნისს მარინა შპიცმა, სუსანა ვარტიროსიანმა და ოლგა შონია-პერიმ კონფირმაცია მიიღეს. ისინი მრავალი თვის მანძილზე პასტორ ირინა სოლვისთან ერთად ემზადებოდნენ კონფირმაციისთვის, სწავლობდნენ ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლებს და ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის სწავლებას. რუსთავის სამრევლოსთვის ეს მნიშვნელოვანი და სასიხარულო მოვლენა იყო, რომ მას ახალი, ახალგაზრდა და აქტიური მრევლის წევრები შეემატნენ. ღვთისმსახურების მერე ეკლესიის ეზოში ზეიმი მოეწყო გემრიელი საჭმელებით, რომელსაც ეპისკოპოსი მარკუს შოხი და შვეიცარელი სტუმარი პასტორი არმლინგი ესწრებოდნენ. მარინა, სუსანა და ოლგა წლების მანძილზე სამრევლოს საკვირაო სკოლის ყველა ღონისძიებაში მონაწილეობდნენ. დედებმა თავიანთი შვილები საკვირაო სკოლაში მოიყვანეს, შვილებმა კი, თავის მხრივ, დედებს გაუკვალეს ეკლესიისკენ მიმავალი გზა. მართლაც, სანამ ბავშვები საკვირაო სკოლაში იყვნენ, პასტორი ირინა დედებს ბიბლიის და კონფირმაციის გაკვეთილს უტარებდა.

მთელი გულით ვულოცავთ მარინას, სუსანას და ოლგას ამ გამორჩეულ მოვლენას და ვუსურვებთ, იესო ქრისტეს გზას გაჰყვოდნენ! ვულოცავთ ასევე რუსთავის სამრევლოს და ყველას ღვთის წყალობას გისურვებთ!

რედაქცია



ბოლოვი გაველით!

თბილისის შერიგების ეკლესიასთან არსებული ახალგაზრდული სახლის რემონტის დაწყებიდან უკვე თითქმის წელიწადი გავიდა. იქაურობის გარემონტების იდეა დიდი ხნის წინ გაჩნდა: ახალგაზრდებს ჯერ კიდევ 2019 წელს უნდოდათ რემონტის დაწყება, თუმცა თავი ვერ მოაბეს. ბოლოსდაბოლოს შედგა სამუშაო გეგმა. მოვილაპარაკეთ, რას და როგორ გავაკეთებდით, როგორი დიზაინი გვქნებოდა, რა უნდა გვეყიდა რა უნდა შეგვეკეთებინარა იყო დამატებით საჭირო, კედლებს რა ფერად შევღებავდით და რა ავეჯი გვჭირდებოდა. სახლის მოსაწყობად და კომფორტის შესაქმნელად ბევრი სამუშაო უნდა გაგვეწია. ჟორა მანს ვთხოვეთ, სარემონტო სამუშაოების ჩატარებაში დაგვეხმარებოდა და მასთან ერთად შევადგინეთ ხარჯთაღრიცხვა.

მერე იყო პანდემია, ლოქდაუნი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვა, სოციალური დისტანცია! სამუშაოების ჩატარებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. თუმცა როგორც კი კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სიტუაცია ქვეყანაში ოდნავ გაუმჯობესდა, ისევ შევიკრიბეთ და მიზნის მისაღწევად გზები დავსახეთ.

გამოვიყვეს ბიუჯეტი და მასალების საყიდლად წავვედით. ძია ჟორა კედლების გარემონტებაში და ლამინატის დაგებაში დაგვეხმარა, დანარჩენი სამუშაოები ახალგაზრდებმა საკუთარი ხელებით ჩავატარეთ. თავისუფალ დროს ვიკრიბებოდით და თავდაუზოგავად ვმუშაობდით. პირველი ეტაპის სამუშაოების დასრულების შემდეგ ახალი ხარჯთაღრიცხვა და ბუღალტერიისთვის რამდენიმე ფინანსური ანგარიში მოვამზადეთ. ბევრი საქმე იყო: როცა ერთი საქმე მთავრდებოდა, შემდეგი იწყებოდა. თანდათანობით კეთდებოდა და ეწყობოდა ახალგაზრდული სახლი: შევიძინეთ მაცივარი, ძველ ტახტს ახალი სიცოცხლე შთავებერეთ, სკამები და სხვა დაზიანებული ნივთები შევაკეთეთ.

მუშაობა ისე მოგვწონდა, ვეღარ ვჩერდებოდით და საკუთარი ხელით დავიწყეთ ავეჯის გაკეთება, ხის პალეტები ვიყიდეთ და საქმეს შევუდექით. ეკლესიის კომენდანტი ვლადიმერ უგრეხელიძე ყველა საჭირო ხელსაწყოთი გვამარაგებდა, ჩვენი განუყრელი მძღოლი იყო და სამშენებლო მასალების ყიდვისას გვეხმარებოდა.



სამუშაოები თითქმის დამთავრებული გვექონდა, როდესაც კორონავირუსის მეორე ტალღამ მოგვისწრო. მხოლოდ 4 თვის შემდეგ შევძელით სამუშაოების განახლება.

გაგვიმართლა, რომ ჩვენ ახალგაზრდებს სხვადასხვა რამ გვეხერხება. ყველაფერი, რასაც ამჟამად ახალგაზრდულ სახლში ნახავთ, ჩვენი ხელითაა გაკეთებული. ჩვენ თვითონ ვხერხავდით, ვაშალაშინებდით, გადასაკრავებს ვკერავდით, იმპროვიზაციას ვცდილობდით. ძველი ტახტი, გადასაკრავი ქსოვილი, სტეპლერი პლიუს ინიციატივა და კრეატიულობა და ახალი ტახტი უკვე მზადაა! ძველი, გადასაყრელი სკამები ახლა ახალივით გამოიყურება და ყველაზე მოხერხებული და მოღური ავეჯი გვაქვს!



მიზანი მიღწეულია! საკუთარი ნახელავით ძალიან ვამაყობთ, განსაკუთრებით კი ჩვენი ახალგაზრდებით. ისინი ხშირად იკრიბებიან ახალგაზრდულ ცენტრში, ახლა ხომ სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად ძალიან კომფორტული პირობებია შექმნილი.

ახალგაზრდულ სახლში შეხვედრამდე!

თამარა ნადოყვა, ანა ზოკამინსკაია

თბილისელმა ახალგაზრდებმა სამრეკლოს ორი საჩუქარი მოუწვადეს

ბოლოსდაბოლოს ასრულდა ჩვენი ახალგაზრდების დიდი სურვილი და კვლავ გაიხსნა ახალგაზრდული სახლი რემონტის შემდეგ. ახალგაზრდები ამ მიზნისკენ დიდხანს მიდიოდნენ და ახლა ნამდვილად შეუძლიათ შედეგით იამაყონ.

კვირას, 30 მაისს ახალგაზრდებმა საკვირაო სკოლის ბავშვები ჭრელ ფერებში მორთულ სპორტულ მოედანზე მიიწვიეს. იქ მათთვის მოზმადებული იყო სპორტული შეჯიბრებები ღია ცის ქვეშ, ბავშვებმა ასევე მოინახულეს მყუდრო და კომფორტული ახალგაზრდული სახლი, ჯგუფებად დაყოფილებმა შესანიშნავი ლიდერების ხელმძღვანელობით არა მხოლოდ საინტერესო თამაშობებში მიიღეს მონაწილეობა, არამედ ახალგაზრდების საყვარელი კერძებიც დააგემოვნეს. დიდი ხანია, ჩვენთან ასეთი კარგი საბავშვო დღესასწაული არ ჩატარებულა. დიდი მადლობა, ახალგაზრდებო! ასე გააგრძელებთ!

ერთი კვირის თავზე, 6 ივნისს ახალგაზრდებმა ჩვენი (უფროსი) მრევლის წევრებიც საინტერესო პროგრამით გაახარეს. სურათებზე ასახულია ამ ღონისძიებით გამოწვეული სიხარული.

რედაქცია





პულოცავთ იუბილუს!

პულოცავთ ჩვენს საყვარელ **ქრისტიანე ჰუმელს** 80 წლის იუბილუს!

ძალიან რთულია სიტყვებით იმ გრძნობების გადმოცემა, რომელსაც ქალბატონი ქრისტიანე ჰუმელის მიმართ ვგრძნობთ. ეს არ არის მხოლოდ ეპისკოპოს გერტ ჰუმელის ხსოვნის პატივისცემის და სიყვარულის დამსახურება, არამედ თქვენს ღვაწლს ეფუძნება, რომელიც დიდი გამბედაობით და ენერჯით გასწიეთ საკუთარი ძალებით, როდესაც ბატონი ჰუმელი 2004 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. 10 წელზე მეტსანს უძღვებოდით საქართველოს ევანგელიურ-ლუთერულ დიაკონურ საზოგადოებას. ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს მუდამ თავდადებით და კეთილსინდისიერად ასრულებდით. გარდა ამისა, თქვენ თავზე აიღეთ ეკლესიის ხაზინადარის მოვალეობაც. ვინ მოთვლის იმ უძილო ღამეებს, რომლებიც ჩვენი პარტნიორებისთვის და დონორებისთვის ანგარიშების მომზადებაში გაათენეთ, რომლებსაც სათითაოდ პირადად უგზავნიდით მადლობის წერილებს? თქვენი უშრეტი ენერჯია ყველას გვაოცებდა. მხოლოდ მაშინ მივხვდით ზუსტად, თუ რამდენ საქმეს აკეთებდით, როდესაც დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ თქვენი მოვალეობები რამდენიმე ადამიანზე გადანაწილდა. დიდი მადლობა, რომ დღემდე რჩებით დიაკონური საბჭოს მრჩეველ წევრად და რომ თქვენ და თქვენი ოჯახი შეძლებისდაგვარად აგრძელებთ ეკლესიის და დიაკონიის დახმარებას. განსაკუთრებული მადლობა თქვენ “საეკლესიო მაცნეს” რედაქტორად მრავალწლიანი მუშაობისთვის.

ადამიანებმა, ვისაც თქვენთან წლების მანძილზე შეხება ჰქონდათ, ბევრი რამ ისწავლეს თქვენგან: უსაზღვრო მოთმინება, ქრისტიანული მოყვასის სიყვარული, კეთილგანწყობა, ყველას მიმართ გულისხმიერების გამოჩენა და დახმარება. თქვენ ყველას ეხმარებოდით. უამრავი ადამიანისთვის თქვენ იყავით საყრდენი და მხსნელი. დარწმუნებული ვართ, საქართველოში ბევრი დიდი მადლიერებით გიხსენებთ.

ჩვენი ლუთერული ეკლესიის აღორძინების დღიდან თქვენ და ეპისკოპოსმა ჰუმელმა იზრუნეთ იმისათვის, რომ ჩვენს ეკლესიას საქართველოში საკუთარი ადგილი დაემკვიდრებინა. ამიტომ დიდ ყურადღებას აქცევდით ეკლესიაში ქართული



ენის გამოყენებას ღვთისმსახურებაში და სხვა ღონისძიებების დროს. თქვენი მხარდაჭერით ქართულ ენაზე გამოიცა მრავალი პუბლიკაცია: წლის დევიზების წიგნი, ქართულ-გერმანული სიმღერების კრებული და სხვა თეოლოგიური ლტერატურა. თქვენ ვიმადლით ჩვენს ეკლესიაში დამკვიდრებული დიდებული საეკლესიო საშობაო და საადღგომო კონცერტების ტრადიციას, რომლებმაც ქალაქის კულტურული ცხოვრება გაამდიდრა და მსმენელს დიდი სიხარული მიანიჭა.

ძვირფასო ქალბატონო ჰუმელ, თქვენ რომ ამ იუბილეს ჩვენთან ერთად ეკლესიაში აღნიშნავდეთ, ეკლესიის დარბაზი ყვავილებით მორთული იქნებოდა და ბევრ თბილ სიტყვას და სურვილს გაიგონებდით. ფიქრებით თქვენთან ვართ, რადგან სამუდამოდ გულისთ ვატარებთ ჩვენს სიყვარულს და მადლიერებას ყველა კეთილი საქმისთვის, რომელიც კი გაგიკეთებიათ.

დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ღვთის უხვ კურთხევას ვისურვებთ.



მთელი ეკლესიის და დიაკონიის სახელით
საეკლესიო მაცნეს რედაქცია



მადლობა

მტკიცედ ვიპაიროვნებდი უფალზე და მოხელა მე, და მოისმინა ვაძრება ჩემი

ფსალმუნსი 39,2

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც მან თავის თავში უნდა მოახდინოს ღირებულებების გადაფასება. ამ შემთხვევაში არც მე ვარ გამონაკლისი. ლუთერულ ეკლესიაში ჩემი მოსვლის დღიდან, როგორც იტყვიან, მრავალმა წყალმა ჩაიარა. მე ვარ ეკლესიის გახსნის საზეიმო საღამოს დამსწრე და ეს დღე სამუდამოდ ჩამრჩა მესხიერებაში.

განვლილი პერიოდი ჩემთვის იყო და არის ეკლესიასთან სრული თანხმობის და მისი ყველა თანამშრომლის მხრიდან მხარდაჭერის წლები, რისთვისაც მათ დიდი მადლობა. მაგრამ უპირველესი და უღრმესი მადლობა **გერტ და ქრისტიანე ჰუმელს**, უდიდეს ქველმოქმედებს, ასეთი დიდებული ტაძრისა და ღიაკონური სამსახურის საქართველოში დაფუძნებისთვის. მითქვამს და კიდევ გავიმეორებ - ჩემის ღრმა რწმენით ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები რომ ყოფილიყვნენ, ეკლესია მათ წმინდანებად შერაცხდა. ღმერთმა გაანათლოს ჩვენთვის, ყველასთვის საყვარელი ეპისკოპოსის გერტ ჰუმელის სული „იმ სოფელსა შინა“ და ქრისტიანე ჰუმელს ჯანმრთელობა და დიდხანს უღრუბლო სიცოცხლე. დარწმუნებული ვარ, ქალბატონი ქრისტიანე საქართველოში რომ დარჩენილიყო და საკუთარ სახლში ეცხოვრა, ასეც მოხდებოდა, რადგან ჩვენი ბუნება და კლიმატი მასზე ფრიად კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს.

მადლობა **პასტორ ჰარი აზიკოვს**, ბიბლიის მართლაც რომ საუკეთესო მცოდნეს. სწორედ მან ჩააგდო ჩემში ბიბლიური სწავლების პირველი მარცვალი, რისთვისაც მას კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.

არ შემძლია უდიდესი მადლიერების გრძნობით არ გავიხსენო აწ გარდაცვლილი, პირადად ჩემთვის ძალიან საყვარელი, უკეთილშობილესი **ეპისკოპოსი იოჰანეს ლაუნჰარდტი** ჩემდამი ჭეშმარიტად სულიერი მამაშვილური

მოპყრობისათვის. ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს მას. მისი რეკომენდაციით სინოდის ერთ-ერთი მოწვევის წევრი ვიყავი.

მადლობა **ეპისკოპოს ჰანს - იოახიმ კიდერლენს** ჩემდამი ყოველთვის თბილი განწყობისათვის. ეკლესიაში მისი მოსვლის პირველივე დღიდან ბოლომდე დაუღალავად ვთანამშრომლობდით წირვა-ლოცვასთან დაკავშირებულ საკითხებში და ეს ორივეს გვახარებდა.

მადლობა ჩვენს **პასტორებს ირინა სოლვის, ვიქტორ მიროშნიჩენკოს, ალბინა ნოტოვას** მრევლში სულიერი მხნეობის ამალღებისთვის. ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო მათთან ერთად საკურთხეველთან დგომა და ზიარებასა თუ წირვა-ლოცვაში მონაწილეობის მიღება.

მადლობა ჩვენს **მქადაგებელს თემურ ბარდაველიძეს**, რომელიც დიდი ორატორული ნიჭით არის დაჯილდოვებული და პატივისცემით სარგებლობს მრევლში. და რაც მთავარია, მას ყველასთვის მოეპოვება თბილი და ტკბილი სიტყვა.

მადლობა **ელენა ილინებს** ჩვენს შორის არსებული კეთილმეგობრული ურთიერთობისთვის, რომელიც ყოველთვის მზად არის, დახმარების ხელი გაუწოდოს ყველას, ვისაც კი ეს სჭირდება.

მადლობა ჩვენი ეკლესიის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარეს, უმშვენიერეს კეთილშობილ ქალბატონს **ელენა მანუკოვას** და მის განუყრელ, ერთგულ სულიერ დას და მეგობარს **ირინა კოვალიოვას** ჩემი წუხილების გაზიარებისთვის.

მადლობა ეკლესიის გუნდს და მის არაჩვეულებრივ ხელმძღვანელს **ნატალია ჩაგანავას** დაუღალავი შრომისა და იმ სიამოვნებისათვის, რასაც ის ყოველ კვირა დღეს გვანიჭებს. და აქვე მადლობა ჩვენ სტაჟიან ორდანიშტს **რობერტ მერაბოვს**, რომელიც ეკლესიის სათავეებთან იდგა და დღემდე იღვწის ჩვენი ღვთისმსახურებების მუსიკალური გაფორმებისთვის.

მადლობა ეკლესიის ყველა წევრს ჩემს მიმართ მცირეოდენი სითბოს გამოძღვანებისთვისაც.

და ბოლოს, მადლობა ჩვენი ეკლესიის მოქმედ **ეპისკოპოსს მარკუს შონს**, ჩემი თვალთახედვით უდავოდ ნიჭიერ და გონიერ ადამიანს. ის დინჯი და აუჩქარებელია თავის ქმედებებში და საკითხის სიღრმისეულად შესწავლამდე არასოდეს იღებს მოულოდნელ გადაწყვეტილებებს. მისი

მოსვლის შემდეგ ჩვენმა ეკლესიამ ფერი იცვალა და უფრო ხალისიანი გახდა. მან უდიდესი შრომა გასწია პანდემიის მძვინვარების დროს, რათა ეკლესიის თანამშრომლებს და მრევლის წევრებს ადვილად გადაეტანათ ეს ურთულესი პერიოდი. ვისურვებდი, ის დიდხანს ყოფილიყოს ჩვენთან.

მე კი, ჩემის მხვრივ გლოცავთ ყველას პავლე მოციქულის შეგონებით (1 თეს 5:16-18ა): იხარეთ მუდამ; ილოცეთ განუწყვეტლივ; მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის.

ჩემს შესახებ კი გეტყვით, ლუთერულ ეკლესიაში მე ჩემი თავი ვიპოვე, რადგან მართლმადიდებლური სწავლებისგან განსხვავებით, აქ დამხვდა ის, რისკენაც მთელი ცხოვრება მივიღებოდი და რისიც ჭეშმარიტად მწამს.

ყოველგვარი მუსიკალური განათლების გარეშე, სმენით ვმღეროვარ თითქმის ყველა საგალობელს, რაც კი ღვთისმსახურების დროს სრულდება და ეს მანიჭებს დიდ სიამოვნებას. და კიდევ ერთი: მთელი ამ წლების განმავლობაში გულით ვატარებდი ჩემ ოცნებას, ჩემ საყვარელ ეკლესიაში გავმხდარიყავი მქადაგებელი. მაგრამ ჩემი ზედმეტად მოკრძალებული ბუნების გამო ეს ოცნება ჩემშივე ჩავახშე. ღმერთო, იქნებ „იმ სოფელსა შინა“ მაინც ამიხდინო ეს ოცნება.

უფალო, შენ დაგვიცავი ყოველივე ბოროტისაგან მეც და ყველა, ვინც მიყვარს!

პატრივისცემით და სიყვარულით,
ნონა ელოევა

ღმერთო! მე შენ მიყვარხარ!

მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალ ძეოსო ქრისტესაგან. ჩემო ძვირფასო და-ძმანო ქრისტეში! გაიხარეთ იმ ფაქტით, რომ ჩვენს სპეტაკ, ყოვლისშემძლე, თავისი სიტყვის პატრონს, სამართლიან, ჭეშმარიტ უფალს, ჩვენს განძს ძალიან ვუყვარვართ - იმაზე მეტად, ვიდრე ჩვენ ეს წარმოგვიდგენია. ყველაფერი, რაც კი გავგაჩნია, მისი წყალობაა. უფალი ჩვენი გულთა მკითხველია და ყველაფერი იცის ჩვენზე. მამა ზეციერმა თავისი ერთადერთი ძე, იესო ჩვენი ცოდვების სახსნელად შემოგვწირა და ეს ფაქტი მისი ჩვენდამი უზარმაზარი სიყვარულის გამოხატულებაა. ამიტომ ჩვენ, მადლიერებისა და მისდამი სიყვარულის ნიშნად, ძალ-

ღონე არ უნდა დავიშუროთ და მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე უფალს ვუთხრათ: „ღმერთო! მე შენ მიყვარხარ!“ როგორც დაწერილია 1 იოანეს 5:2-3: „ღვთის შვილნი რომ გვიყვარს, მაშინ ვგებულობთ, როდესაც გვიყვარს ღმერთი და ვიცავთ მის მცნებებს. ვინაიდან ღვთის სიყვარული ისაა, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს, ხოლო მისი მცნებები მძიმე როდია.“ და უფლისადმი სიყვარულიც ზუსტად ისაა, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი საქმით და არა ფუჭი სიტყვებით, როგორც ეს აღნიშნულია 1 იოანეს 3:18: „ჩემო შვილებო, ნუ გვიყვარს სიტყვებით, ნურც ენით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით.“ მართლაც, დავემორჩილოთ უფალს სრული ნდობით, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, სრული რწმენით აღვასრულოთ მისი ჭეშმარიტი სიტყვა, რომელიც ყოველი მართლისათვის ხსნის და გამარჯვების მომტანია და ამ გზით, კიდევ ერთხელ ვუთხრათ უფალს “მე შენ მიყვარხარ, ღმერთო!”. გვახსოვდეს, რამდენჯერაც ვერ, ან არ დავიცავთ მის მცნებებს, რომლებიც ჩვენს სასარგებლოდაა უფლის მიერ მოცემული, ჩვენც იმდროინდელ ხალხს ვემსგავსებით, რომლებმაც არ ირწმუნეს, არ მიიღეს, არ შეიყვარეს, შეურაცხვეს, დაამცირეს, აწამეს და ჯვარს აცვეს ჩვენი მხსნელი იესო, რომელმაც ჩვენი ცოდვებისგან გაგვათავისუფლა ამ ჯვარცმით. მაშ, პატივი ვცეთ უფალს, სათუთად და ნაზად, სუფთა გულით მოვეფეროთ მას ჩვენი კეთილი საქმეებით, რომელიც უფლის სახელით უნდა ვქმნათ. როცა განსაცდელში ვვარდებით, გვიხაროდეს, რადგან ზუსტად ამ დროს ჩნდება უფალი თავისი დიდებით და იცავს მართალს. მაშ, ვაქოთ და ვადიდოთ ჩვენი ერთადერთი მეფე - ღმერთი! ვცადოთ და მთელი გულით, ზუსტად შევასრულოთ მისი მცნებები, თუნდაც ერთი რომელიმე და მერე დავაკვირდეთ მის პასუხს, თუ კარგად დავაკვირდებით და დავფიქრდებით, დავინახავთ უფლისგან ზრუნვითა და სიყვარულით სავსე პასუხს. მაშინ გაიხარებს თქვენი გული უფლის მადლით და არ დაიღლებით უფლის ქებით, და კიდევ ერთხელ ეტყვით უფალს: „მე შენ მიყვარხარ, ღმერთო!“

ჩემო საყვარელო დანო და ძმანო ქრისტეში! გთხოვთ, ხშირად გამოგვევლინოთ ჩვენი სულები სულიერი საკვებით, რათა დავრჩეთ უფალში, დავიმარხოთ გულში მისი მცნებები და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ავასრულოთ დაწერილი, ისევე, როგორი მორჩილებითაც ეს შეასრულა ჩვენმა მხსნელმა, ჩვენი მამის ერთადერთმა ძემ იესომ! ამ მორჩილებით უფლისადმი ბევრჯერ შევძლებთ თქმას „ღმერთო! მე შენ მიყვარხარ!“

მარიამ მიქელაძე

სოლოაკი

თავისუფლების მოედანი ჩემთვის თბილისის გულია, სიონი კი – მისი სული. რატომ? – იკითხავს ალბათ მკითხველი. იმიტომ, რომ სიონის ტაძარი უფლის სიყვარულით არის აშენებული, უცნობი ქვრივი ქალის შემოწირულობითა და მოქალაქეთა საეკლესიო მეთაფით. განა თბილისელებს იმ დროს ნაკლებად უჭირდათ? მაგრამ იყო დიდი სიყვარული უფლისა და სურვილი, რომ ქალაქ თბილისში მდგარიყო ტაძარი ყველა შენობაზე მაღალი და ლამაზი. ძველ თბილისში ყველა გზას სიონისაკენ მივყავართ და ყველაფერიც აქედან იწყება. მოდით, ჩვენც სიონიდან დავიწყოთ და მაღლა ავუყვებოთ ჯერ არმიანსკი ბაზრად, დღემდე კი ლესელიძედ წოდებულ ქუჩას. მაღლა, ქუჩის ბოლოში კოჯრის კარი იყო, მისი ნანგრევები 1995 წელს ასფალტის ქვეშ მოექცა. კოჯრის კარის გავლით თავისუფლების მოედანზე აღმოვჩნდებით. მე-19 საუკუნის დასაწყისში მას შეშის მოედნად მოიხსენიებენ, მოგვიანებით სამხედრო შტაბის მოედნად, 1828 წლიდან ერევანსკით გრაფ პასკევიჩის საპატივცემულოდ და რუსეთ-ოსმალეთის ომში ერევნის ციხე-ქალაქთან გამარჯვების აღსანიშნავად. როდესაც საქართველომ 1918 წელს ნანატრი თავისუფლება მოიპოვა, მას თავისუფლების მოედანი დაერქვა. 1934 წელს მოედანს ლავრენტი ბერიას სახელი ეწოდა, ხოლო ბერიას დახვრეტის შემდეგ კომუნისტების ბელადის, ლენინის სახელობის მოედნად მოინათლა. 1991 წელს, როდესაც ისევ თავისუფლება მოვიპოვეთ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიის ინიციატივით მას თავისუფლების მოედნის სახელი აღუდგა.

საინტერესოა, როგორ დაიბადა ეს მოედანი. მე-19 საუკუნის შუა წლებში მაშინდელი კავკასიის გამგებლად ანუ მეფისნაცვლად დაინიშნა გრაფი ვორონცოვი. გრაფი ინგლისურ ყაიდაზე იყო აღზრდილი და გადაწყვიტა, თბილის-ქალაქი ევროპული სტილის შენობებით დაემშვენებინა. ამ მოედანზე, სადაც სოფლიდან ჩამოსული გლეხები შეშას ყიდდნენ, ვორონცოვმა გადაწყვიტა იტალიური ოპერის აშენება. გადაწყვეტილება ერთია, მაგრამ შესრულება კი მეორე. ყველამ კარგად ვიცით, რომ ყოველ კარგ პროექტს კარგი ფული სჭირდება. იმ დროში კი დიდი ფული თბილისელ სომეხ ვაჭრებს ჰქონდათ. გრაფმა არჩევანი პირველი გილდიის ვაჭარზე გაბრიელ თამამშევზე შეაჩერა. გაბრიელ თამამშევს სრულებით გულზე არ

ეხატებოდა იტალიური ოპერის აშენება. მითუმეტეს, მოედნის ყიდვა, მაგრამ რას გააწყობდა, თანაც ისიც კარგად იცოდა, რომ გრაფს თბილისელი სომხები თვალში არ მოსდიოდა. ის უფრო ქართველი თავად-ახნაურებითა და მანდილოსნებით იყო მოხიბლული. ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო და რა გაეწყობოდა, დათანხმდა. მოედანი ვაჭარმა თამამშევმა ბატონ ესტატე ციციშვილისაგან ორ გროშად და ორი ხელი ჩოხა-ახალუხის ფასად შეიძინა (ეს ამბავი უნებურად მაგონებს დანიელ ვაჭრებს, რომლებმაც დღევანდელი ნიუ-იორკის ტერიტორიაში ინდიელ ბელადებს 25 დოლარი გადაუხადეს). ამის შემდეგ ვორონცოვმა ოპერის ასაშენებლად ახალგაზრდა, უნიჭიერესი იტალიელი არქიტექტორი სკუდიერი მოიწვია (მისი აშენებულია თბილისში მშრალი ხიდი, ქალაქის ყოფილი საკრებულო, უმშვენიერესი სამხედრო ტაძარი, რომელიც პარლამენტის შენობის ადგილზე იდგა. ტაძრის მშენებლობისას ეს ნიჭიერი არქიტექტორი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა). თამამშევმა მშენებლობაშიც კი მოგება ნახა. ფაქტობრივად მან თანამედროვე მოლი ააშენებინა. ოპერაში კაცი ისე ვერ შევიდოდა, რომ მისი მაღაზიის რიგები არ გაეკლო. აი, რა არის ბიზნესმენის ხედვა, თუმცა ის მაინც შეცდა: მან ვერ გაითვალისწინა სახანძრო უსაფრთხოება: ეს უღამაზესი ოპერის თეატრი, რომელმაც ალექსანდრე დიუმაძე კი აღაფრთოვანა, 1855 წელს ხანძარმა იმსხვერპლა.

ეხლა მოდი, ჩემო მკითხველო, ცოტა გავხალისდეთ და ერთ თბილისურ ეზოში გადავინაცვლოთ. მაისის ის მშვენიერი დღია დღევანდელივით კარგად მახსოვს. თბილისურ ქუჩუნა წვიმას ქალაქისთვის გადაეგლო და პაერში ვარდობის თვის სურნელი ტრიალებდა. ყველაფერი ხარობდა, გარდა ჩემი გულისა. მეორე დღეს პარტისტორიაში გამოცდა მქონდა, მე კი წიგნი ვერსად მეშოვნა. დღესაც ვერ გამიგია, იმ დროს რატომ იყო პარტისტორია პირველი საგანი უცხო ენათა ინსტიტუტში. აჩქარებულმა კალინინის 104 ნომრის ეზოს კარიბჭე შევადე და, ვაიმე! აღმომხდა გულიდან, დავიღუპე: არუთ ძაძა ეზოში მახმატს თამაშობდა. მინდოდა, ჩუმად გვერდი ამეგლო არუთიკასათვის (მას შინაურები ამ სახელით მიმართავდნენ), რომელიც ჭადრაკის დაფას ჩაფიქრებით დასცქეროდა, მაგრამ არ გამომივიდა, შემამჩნია. “ინასტრანი სტუდენტ, მოხვედი? აბა, აქეთ მოდი, ლექცია უნდა ჩაგიტარო”. რას ვიზამდი, დაფევი, არუთას ვერსად გავექცეოდი და იქვე დასჯილი სკოლის მოწაფესავით კუთხეში „პრაჩიშნიის” კედელს

ავეყუდე. “აბა, მითხარი, სტუდენტ, რომელია ქალაქ ტიფლისში გლავნი უბანი?” არუთიკამ ჩემი პარტიისტორიის ლექტორივით ირონიულად შემომხედა. მის მზერაში იგრძნობოდა წინასწარ იმ პასუხით გამოწვეული სიამოვნება, რომელიც ნამდვილად არასწორი იქნებოდა. „სოლოლაკი“, - ვუპასუხე მე ხუთიანის მოლოდინში, მაგრამ არ გამიძარტლა. “მაიცა, მაიცა, ნუ გარეკე ფოსტის დროშკასავით. ნეპრავილნო, სტუდენტ“. შემაწყვეტინა პასუხით ნასიამოვნებმა ლექტორმა. დვოიშნიკ! ჰავლაბარი, მაშ! და იცი, რატომ? იმიტომ, რომ ყველაფერი აქედან დაიწყო, ჰავლაბრიდან. ჰო-და ეგ შენი სოლოლაკიც ჰავლაბრელების ფულით არის აშენებული“. დამერხა, გავიფიქრე ჩემთვის, დღეს ამ ლექციას ნამდვილად ვეღარსად გავექცეოდი. “მომისმინე“, - გააგრძელა არუთ ძაძამ. „დიდი ხნის წინათ ჰავლაბარში ორი ახალგაზრდა მეგობარი ცხოვრობდა. ეს ორი მეგობარი შევირდებად ედგნენ ვაჭრებს ქვემოთა ბაზრის უბანში. ჰავლაბრიდან სამუშაოდღე გზა ძალიან გრძელი იყო. ამიტომაც ჩვენმა შევირდებმა გადაწყვიტეს ახალ უბანში ბინის ქირაობა, ანუ სოლოლაკში, იმ მიზეზით, რომ დაუსახლებელ უბანში ბინის ქირა უფრო იაფი იყო. მალევე დაოჯახდნენ, შემდეგ პატარა ქოხებიც აიშენეს ერთმანეთის მოპირდაპირე ქუჩაზე. სამუშაოზე, დუქანშიც ერთად დადიოდნენ, პურსაც ერთად ჭამდნენ. მოკლედ, ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეეძლოთ, კარგი ძმებივით იყვნენ. ერთ დღესაც ერთ-ერთი მეგობარი კარგა ხნით დაიკარგა. დიდი დრო გავიდა, მისგან არაფერი ისმოდა. ერთ საღამოს, როდესაც ჩვენი თბილისელი მეგობარი დაღლილ-დაქანცული სახლში ბრუნდებოდა, დაინახა, მისი მეგობრის სახლს ანგრევდნენ, გაუკვირდა. მალე იმ სახლის მაგივრად ოთხ-სართულიანი ლამაზი სახლი წამოჭიმეს, შადრევნიანი ეზოთი და რკინის მოოქროვილი კარიბჭით. მალე მისი მეგობარიც გამოჩნდა, ფაეტონში, ფრაკში გამოწყობილი. იძახდნენ, რუსეთში დიდი ფული უშოვნიაო. მაშ!“ - გააგრძელა არუთიკამ. „დაივიწყა თავისი ძველი მეგობარი, რომელიც მოპირდაპირე მხარეს ქოხში ცხოვრობდა. საღამსაც კი არ იმეტებდა მისთვის. გავიდა კარგა ხანი, ჩვენი მდიდარი მეგობარი ეხლა საზღვარგარეთ, შენ რომ სწავლობ, ფრანცუზებთან გაემგზავრა“. “არა, არუთ ძაძა, მე ფრანგულს არა ვსწავლობ - ინგლისურს“, - ვუპასუხე ამაყად. „რა მნიშვნელობა აქვს მაგას, ბემჟრაზო, ყველა ერთია, რაღა“, - მომიჭრა პასუხი ჩემმა ლექტორმა. “ჰო, სად გავაკეთე ასტანოვკა? გამახსენდა, ჰო, გაემგზავრა უფრო



მეტი ფულის საშოვნელად. კარგა ხანიც ქალაქში აღარ გამოჩენილა. ხო იცი, ეს ცხოვრება ყომარივითაა, მამაჩემი ხოჯევანის სასაფლაოზე რომ აგორებდა. ხან მოიგებ, ხანაც წააგებ. ჰო-და ჩვენი ძმობილიც დაგვიბრუნდა. არა ფაეტონით, არამედ ფეხით: იმ შენ ფრანცუზებთან მთელი ფული დაჰკარგოდა, რაღაც დიდ საქმეში ჩაედო და ეს საქმე გაკოტრებით დაემთავრებინა. როდესაც მოედინიდან თავის ქუჩაზე აუხვია, მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: მისი სახლის მოპირდაპირე მხარეს ულამაზესი სამ-სართულიანი წითელი აგურით მოპირკეთებული სახლი აღმართულიყო. ყოველი ფანჯრის ქვემოდან დევეების თავები იყურებოდნენ მისი სახლისაკენ, მაგრამ ამ დევეებში რაღაც უცნაური იყო. დევეებს გაღებულ პირიდან ენა გამოეყოთ მისი მიმართულებით, თითქოს ეუბნებოდნენ: ასეც შენაო.“ დაამთავრა თხრობა არუთ ძაძამ. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. აღარც ვაჭრები არიან, აღარც ძაძა არუთიკა და აღარც ჩემი ბავშვობის ეზო თავისი განუმეორებელი თბილისური კოლორიტით. ლესელიძის ქუჩის 10 ნომერში კი დღესაც დგას ეს სახლი, დევეები ისევ გადმოყრილი ენებით გადმოჰყურებენ ბოლო მარკის ჯიპებში მჯდარ ახლად გამოჩეკილ თბილისელ ვაჭრებს, ბოლიში ბიზნესმენებს.

მომავალ შესვედრამდე, ჩემო მკითხველო. უფლის კურთხევა არ მოგაკლოთ ღმერთმა!

თემურ ბარდაველიძე

ИЗРЕЧЕНИЕ НА МАРТ
ИИСУС СКАЗАЛ ИМ В ОТВЕТ:
СКАЗЫВАЮ ВАМ,
ЧТО ЕСЛИ ОНИ УМОЛКНУТ, ТО КАМНИ ВОЗОПИЮТ.
Евангелие от Луки 19:40

